ПРОЛЕТАРЛЕБО УГЕЛА ГВЕЗЕНИС, МЕРТОДЕТ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგუფოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 296 (12504)

ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

გულითად ვითარებაში

დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობა!

18 დეკემბერს სადარბაზო სახლში საბჭოთა მთავრობამ გამართა სადილი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოსა და მისი მეუღლის იოვანკა ბროზის პატივსაცემად.

იუგოსლავიის მხრივ სადილზე იყვნენ საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარის მოადგილე ა. რანკოვიჩი, სერბიის სახალხო კუოშჩინის თავმჯდომარე ი. ვესელინოვი, მაკედონიის სახალხო კრების თავმჯდომარე ლ. არსოვი მეუღლითურთ, ხორვატიის აღმასრულებელი ვიჩეს თავმჯდომარის მოადგილე ი. კრაიაჩიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვიჩეს წევრი ბ. კრაიგერი მეუღლითურთ, იუგოსლავიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე დ. ვიდიჩი, პრეზიდენტის გენერალური მდივანი ბ. ცრნობრნია, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ც. მიატოვიჩი მეუღლითურთ, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ მოსკოვში, იუგოსლავიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ, გ. ი. ვორონოვი მეუღლითურთ, ა. ბ. კირილენკო მეუღლითურთ, ფ. რ. კოზლოვი მეუღლითურთ, ა. ნ. კოსიგინი მეუღლითურთ, ა. ი. მიკოიანი, დ. ს. პოლიანსკი მეუღლითურთ, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი მეუღლითურთ, ლ. ნ. ეფრემოვი მეუღლითურთ, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი მეუღლითურთ, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი მეუღლითურთ, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა იოსიპ ბროზ ტიტოს მიართვა სამახსოვრო საჩუქარი — პირი ალმისა, რომელიც საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ მიიტანა მთვარეზე 1959 წლის სექტემბერში.

სადილის მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მსახიობებმა.

სადილის დროს, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და იოსიპ ბროზ ტიტომ ერთმანეთს მიმართეს მეგობრული სადღეგრძელოებით. (საკდესი).

18 დეკემბერს გვიან საღამოს მოსკოვიდან გაემგზავრა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ. სამშობლოში მიმავალ პრეზიდენტი ეწვევა უკრაინის დედაქალაქ კიევს.

ამხანაგ ტიტოსთან ერთად კიევს გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომლის მოწვევით იუგოსლავიის პრეზიდენტი დასასვენებლად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

...დედაქალაქის კიევის ვოგზალი მორთულია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. აქ მოვიდა დედაქალაქის მშრომელთა და საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო, მისი მეუღლე და პრეზიდენტის თანმხლები თვალსაჩინო იუგოსლავი სახელმწიფო მოღვაწენი გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა მეუღლითურთ, გ. ი. ვორონოვმა, ა. პ. კირილენკომ, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ნ. კოსიგინმა მეუღლითურთ, ა. ი. მიკოიანმა, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ლ. ნ. ეფრემოვმა, ი. ვ. ანდროპოვმა, პ. ნ. დემიჩევმა, ლ. თ. ილიჩოვმა, ვ. ი. პოლიაკოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, ა.პ.რუდაკოვმა, ვ. ნ. ტიტოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ნ. პ. ხრუშჩოვამ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მეუღლითურთ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრმა ა. ი. აჯუბეიმ მეუღლითურთ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ნ. ი. კრილოვმა, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. მ. კალაშნიკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. აქვე არიან იუგოსლავიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი იღებენ საპატიო ყარაულის უფროსის პატაკს. ფლერს იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ს. ხრუშჩოვმა და იოსიპ ბროზ ტიტომ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. მომმე იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლები გულთბილად ემშვიდობებიან გამცილებლებს. გაისმის მარშის ხმები. მატარებელი ტოვებს ბაქანს.

სახელმწიფო საზღვრამდე იუგოსლავიის პრეზიდენტს ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე მეუღლითურთ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

კიევი, 19 დეკემბერი. დღეს სპეციალური მატარებლით მოსკოვიდან კიევს ჩამოვიდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვოგზალში საპატიო სტუმრებს შეხვდნენ უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, რესპუბლიკურ, კიევის საოლქო და საქალაქო ორგანიზაციათა და უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები, მშრომელები.

ბაქანზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ს. კოროტჩენკომ და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

ვოგზლიდან საპატიო სტუმრები და მათი თანმხლები პირები ავტომობილებით წავიდნენ ქალაქში. მთელ გზაზე მათ მიესალმებოდა ათასობით კიეველი.

(საკდესი).

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

19 დეკემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

პლენუმმა მიიღო დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ვ. პ. მჟავანაძის** მოხსენების გამო — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებასა და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნაში“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობისაგან ამხ. **პ. ვ. კოვანოვი** სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად აირჩია ამხ. **დ. ს. ზემლიანსკი.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **ვ. მ. სირაძე** სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძე.**

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **მ. ი. კუჭავა.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შექმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი. პრეზიდიუმის წევრებად არჩეული არიან ამხანაგები **გ. ა. გეგეშიძე, დ. ს. ზემლიანსკი, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **მ. მ. ლელაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ვ. ჩერქეზია.**

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს შემადგენლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **გ. ა. გეგეშიძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ დამტკიცებულია ამხ. **ე. მ. ჯაფარიძე.**

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს შემადგენლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ დამტკიცებულია ამხ. **ბ. გ. გიგიბერია.**

ამით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა. (საკდესი).

ახალი ბროშურა

ბროშურად გამოიცა ტექსტი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ბროშურად გამოუშვა ტექსტი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე 1962 წლის 12 დეკემბერს „თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

ე. ო. კრაგის მომავალი ვიზიტი სსრ კავშირში

საბჭოთა მთავრობამ მოიწვია დანიის პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგი ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში როგორც სსრ კავშირის მთავრობის სტუმარი მეუღლესთან და თანმხლებ პირებთან ერთად 1963 წლის შუა ივნისში.

პრემიერ-მინისტრმა ე. ო. კრაგმა მადლობით მიიღო მიწვევა.

მიფრინავს „მარსი-1“

საკოსმოსო სადგური „მარსი-1“ განაგრძობს ფრენას პლანეტა მარსისაკენ.

20 დეკემბერს 8 საათზე მოსკოვის დროით სადგური იქნება მეეტლის თანავარსკვლავეზეში — წერტილში, რომლის ასტრონომიული კოორდინატებია: პირდაპირი აღმაასვლა — 6 საათი და 40 წუთია, დახრილობა — 42 გრადუსი და 25 მინუტი. ამ დროს მანძილი სადგურიდან დედამიწამდე შეადგენს 17 მილიონ 577 ათას კილომეტრს.

11 დეკემბრიდან 17 დეკემბრამდე მოეწყო რადიოკავშირის მორიგი სეანსები საკოსმოსო სადგურთან „მარსი-1“. უკანასკნელი სეანსი მოეწყო 16 დეკემბერს, როცა სადგური 15 მილიონ 840 ათასი კილომეტრით იყო დაშორებული დედამიწას. მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავებამ ცხადყო, რომ სადგურის სისტემები და აგრეგატები განაგრძობენ ნორმალურ მუშაობას. ტემპერატურა და წნევა სადგურში დაცულია გათვალისწინებულ ფარგლებში. (საკდესი).

მიფრინავს „მარსი-1“

საკოსმოსო სადგური „მარსი-1“ განაგრძობს ფრენას პლანეტა მარსისაკენ.

20 დეკემბერს 8 საათზე მოსკოვის დროით სადგური იქნება მეეტლის თანავარსკვლავეზეში — წერტილში, რომლის ასტრონომიული კოორდინატებია: პირდაპირი აღმაასვლა — 6 საათი და 40 წუთია, დახრილობა — 42 გრადუსი და 25 მინუტი. ამ დროს მანძილი სადგურიდან დედამიწამდე შეადგენს 17 მილიონ 577 ათას კილომეტრს.

11 დეკემბრიდან 17 დეკემბრამდე მოეწყო რადიოკავშირის მორიგი სეანსები საკოსმოსო სადგურთან „მარსი-1“. უკანასკნელი სეანსი მოეწყო 16 დეკემბერს, როცა სადგური 15 მილიონ 840 ათასი კილომეტრით იყო დაშორებული დედამიწას. მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის დამუშავებამ ცხადყო, რომ სადგურის სისტემები და აგრეგატები განაგრძობენ ნორმალურ მუშაობას. ტემპერატურა და წნევა სადგურში დაცულია გათვალისწინებულ ფარგლებში. (საკდესი).

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მუშაობას დაიწყებს საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სესია. აქ შეიკრიბებიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, ხალხის რჩეულნი; ეს ფოტოსურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გუშინ გადაიღო. მასზე გამოსახულია დეპუტატები, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ და გაუზიარეს თავიანთი ფიქრები და მიზნები. (მარცხნიდან მარჯვნივ): **ალიბეგ ელიავა** — გალის რაიონის სოფელ მუხურის ჯგუფურიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ნინო სათირიძე** — ქუთაისის X საშუალო სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, **დარია ლოშაკოვა**—ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის შუშა, **დარეჯან ტაკიძე**—მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, **ბესარიონ ბაჯელიძე**—ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის მეჩაიე, **ივანე ხოშტარია**—აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნის კოლმეურნეობის მესამინდე, სოციალისტური შრომის გმირი, **იოლიტა ბვენიაძე** — ტყიბულის რაიონის სოფელ საწირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ვიქტორ ესართია** — ზუგდიდის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი, **ოსანა აიკაზაშვილი** — ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობის მეაბრეშუმე, **სურენ ბერბერიანი** — სოხუმის რაიონის სოფელ წებელდის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ვიქტორ შელია** — სოხუმის რაიონის სოფელ კელასურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ისინი, ვინც თავი ისახელა

თბილისის საელმავლო დეპოს კოლექტივმა 5 დეკემბრისათვის ტვირთების გადაზიდვის წლიური გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულა, ლოკომოტივების გარგენისა — 103 პროცენტით. განვლილ პერიოდში ტექნიკური სიჩქარე ამაღლდა 5 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 2,8 პროცენტით.

ამ საერთო წარმატებაში თავი ისახელეს მიმიმფოონოსანმა მემანქანეებმა და ელმავლის შემკეთებლებმა დ. ილურიძემ, ნ. ფიკლაურმა, თ. კახაბრიშვილმა, გ. ჩიტიაშვილმა და სხვებმა.

დ. კაშია.

ამტრედიის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის კოლექტივი წარმატებით იბრძვის შვიდწლედის მეოთხე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის. აქ თერმეტ თვეში წარმატებით შესრულეს თერმეტნახევარი თვის დავალება. გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 147 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება აამაღლეს 2,7 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს 15.600 მანეთით. განვლილ პერიოდში ზეგეგმითმა დაგროვებამ 20 ათას მანეთს გადააჭარბა.

ორჯონიკიძის რაიონის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატმა (დირექტორი დ. აბაშიძე) 11 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება. 440 ათასი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 440.800 მანეთის პროდუქცია.

გეგმის ვადამდე შესრულებაში თავი ისახელეს ზვარის მინერალური წყლებისა და მოლითის კირის ქარხნებმა.

ჟ. სახვაძე.

საჭორაფის ტრესტმა ტორფსასუქების დამზადების წლიური გეგმა ვადამდე გადაჭარბებით შეასრულა. 1 ნოემბრისათვის, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 300 ათასი ტორფკომპოსტისა, დამზადებულია 304 ათასი ტონა, ანუ 103 ათასი ტონით მეტი. ვიდრე წინა 1961 წელს. ამჟამად მეტორფეები 1963 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ყველაზე ადრე წლიური გეგმა გაანაღდა ქობულეთისა და ფოთის ტორფის ქარხნებმა.

კ. კომახიძე.

სასიხარულო ცნობები

ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ

□ **მაიაკოვსკი.** (საკ. კორ.). მეათე საგზაო-საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა გზების კაპიტალური და საშუალო შეკეთების წლიური გეგმა. ამასთან, გზის მუშაკებმა განვლილ პერიოდში სახელმწიფოს მისცეს 8.400 მანეთი ეკონომია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ და პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამ წარმატებებისათვის უბნის კოლექტივს გადასცა ფინთელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიაკუთვნეს.

□ **ყულალტუბო.** (საკ. კორ.). სოფელ ფარცხანაყანევში დამთავრდა საშუალო სკოლის მშენებლობა. სკოლას აქვს 14 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი და სხვ. ამჟამად ამ სოფლის მოსწავლეები ერთ ცვლად მეცადინეობენ.

ბათუმური პრეპარატები ევროპაში, იუგოსლავიაში...

ბათუმი. (საკ. კორ.). ცხრამეტამდე სხვადასხვა პრეპარატს ამზადებს ბათუმის კოფეინის ქარხანა. აქ დამზადებული პროდუქცია კარგა ხანია ცნობილი გახდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

მალე საერთაშორისო ბაზარზე გავა ქარხნის კიდევ ერთი ახალი პრეპარატი — ნერიოლინი.

უკანასკნელ წლებში ქარხანა სისტემატურად მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოწყობილ გამოფენებში. მომავალ 1963 წელს ქარხანა მონაწილეობას მიიღებს 18 საერთაშორისო გამოფენაში. გამოფენები მოეწყობა ეგვიპტეში, ლათინური ამერიკის ქვეყნებსა და იუგოსლავიაში, სადაც წარმოდგენილი იქნება საბჭოთა სპეციალისტების მიერ შემუშავებული და ბათუმის კოფეინის ქარხანაში დამზადებული ძვირფასი პრეპარატები.

მათ მარჯვენას უქებენ

ზვიადფლედის მეოთხე წელს სასახელოდ ამთავრებს სიღნაღის რაიონის ტიბაანის ვაზის სანერგის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ა. ბიძინაშვილი). წელს მეურნეობას სათბურში ერთი მილიონი ვაზიდან გეგმით უნდა მიეღო 400.000 ცალი პირველი ხარისხის სტანდარტული სანერგე მასალა, ფაქტიურად მიიღო 475.000 ცალი. გარდა ამისა, დარგული 146.000 ცალი ფილოქსერაგამძლე ვაზის დასაფესვიანებელი კალმიდან გეგმით გათვალისწინებული 73 ათასის ნაცვლად მიიღო 75.000 ცალი.

თავი ისახელეს მუშებმა ნ. ჯაბაშვილმა, გ. ბზიკაშვილმა, ვ. ყაჟაშვილმა ლ. ლოლაშვილმა, ლ. კოხტაშვილმა, ვ. ხატიაშვილმა, ე. კოხტაშვილმა, უბნის აგრონომმა ვ. კოხტაშვილმა და ბრიგადირმა აგროტექნიკოსმა გ. ჩალაბაშვილმა.

მ. ბოგოლაშვილი.

სიღნაღის რაიონის ტიბაანის ვაზის სანერგის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ნაუმ ფულარიანის რგოლს წყალტუბოს საწარმოო სამმართველოში შუქურას უწოდებენ, რგოლმა 3,63 ჰექტარ მსხმოიარე ვენახზე გეგმით გათვალისწინებული 354 ცენტნერის ნაცვლად 545 ცენტნერი ყურძენი მიიღო. ბიჭიკო ზინაკაძემ ჰექტარზე გადაანგარიშებით მოიყვანა 175 ცენტნერი ყურძენი და მარტო პრემიის სახით 934 მანეთი ერგო, კონსტანტინე ფულარიანს პრემიად ხვდა 580 მანეთი, ნაუმ ფულარიანს — 770 მანეთი. მათ წარმატებით დაამთავრეს ვენახების მწკრივთაშორისი ხვნა, სასუქების შეტანა, ახალი პლანტაციის გაშენება. ახლა მიმდინარეობს ვაზის ძირების გამობარვა.

გ. მჟავანაძე.

წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების მეძროხეობის ფერმის მწველავ თამარ ქისტაურს მარჯვენას უქებენ. მან თვითეულ ძროხაზე 2.150 ლიტრი რძე მიიღო, წლიური გეგმა კი 1.800 ლიტრზე მეტს არ ითვალისწინებდა.

სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში მწველავი ზაირა ალხანშვილი პირველობს. წველადობის წლიური გეგმა ვადაზე დიდი ხნით ადრე გაანაღდა. 23 ტონის ნაცვლად 27 ტონა რძე მიუწონა ქარხანას.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს ჭანდრის კოლმეურნეობაში მწველავ ზ. ამირაძეს ბადალი არა ჰყავს. წლიური გეგმით გათვალისწინებული 2.300 ლიტრის ნაცვლად თვითეულ ძროხაზე თერმეტ თვეში 2.400 ლიტრი რძე მიიღო.

გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავებმა რ. ზაკალაშვილმა და ა. გოგელაშვილმა წველადობის წლიური გეგმა ნოემბერში შეასრულეს. შარშანდელთან შედარებით თვითეული ძროხის წველადობა 300-400 ლიტრით გაადიდეს. (**ხაკ. კორ**).

მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს.

სახელმწიფოს მიეყიდა 1.700 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 1.550 ტონისა, 560 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი ნაცვლად 550 ტონისა! — ასეთია შრომის კოლმეურნეობის მაჩვენებლები. აქ სასახელოდ შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადიდების გეგმები.

(„**კომუნისტის**“ **კორ.**).

ახალქალაქის რაიონის ტურცხის კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვლეული, 150 ცენტნერი კარტოფილი, 280 ცენტნერი კომბოსტო და 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო. კოლმეურნეები შრომადღეებზე დიდძალ პროდუქტებს იღებენ.

მემინდვრეობის მეოთხე ბრიგადის ხელმძღვანელის ა. ელიაზიანის ოჯახიდან ოთხი კაცი ბეჯითად შრომობს კოლმეურნეობაში. მათ წელს 2.200 შრომადღე გამოიმუშავეს, რისთვისაც ისინი 4,5 ტონაზე მეტ მარცვლეულს, ამდენსავე კარტოფილს, 3 ტონა ბოსტნეულს, 6 ცენტნერ რძეს, 80 კილოგრამ ყველს, სხვა სახის პროდუქტებსა და დიდძალ ფულს მიიღებენ.

ბ. ბელაძე,
სოფლკორი.

თეორიული კონფერენცია

გორი. (საკ. კორ.). „დავიცვათ და განვამტკიცოთ საბჭოთა ვაჭრობის წესები“ — ასეთი იყო თემა საქალაქო თეორიული კონფერენციისა, რომელიც მოაწყეს საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტმა და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გორის საქალაქო განყოფილებამ.

კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ: მილიციის საქალაქო განყოფილების უფროსი ვ. ბიგაური, პროკურორი ა. გეგია, პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი შ. არსენიძე და სახვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის გორის ჯგუფური კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჩიტაძე.

თეორიული კონფერენციის მუშაობა შეაჯამა პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ილარიშვილმა.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების სრული ტექსტი ინგლისში

ლონდონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „დეილი ექსპრესი“ სრულად ბეჭდავს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. დღეს გაზეთმა დაბეჭდა მოხსენების პირველი ორი ნაწილი: „ჩვენი მიზანია მშვიდობა, შემოქმედება, კომუნიზმი“ და „ქარიბის ზღვის რაიონში კრიზისის დაძლევა მშვიდობის პოლიტიკის ფინალურ გამარჯვებაა“. „დეილი ექსპრესი“ იტყობინება, რომ მოხსენების შემდგომი ნაწილები გამოქვეყნდება ხვალ.

მ. გლეზოსი მადლობას იხდის

ათენი, 19 დეკემბერი. (საკდესი). მანოლის გლეზოსმა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მადლობას უძღვნის მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებს, რომლებიც აღსდგენენ საბერძნეთის პრესის თავისუფლების დასაცავად.

მოლაპარაკება იწყება დღეს

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. კენედი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰ. მაკმილანი იწყებენ ორი დღის მოლაპარაკებას ნასაუში (ბაჰამის კუნძულები).

გუშინ საღამოს, როგორც უცხოეთის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, გაიმართა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის არაოფიციალური შეხვედრა, რომელზეც განიხილეს მოლაპარაკების დღის წესრიგი.

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება დღეს, 20 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უკანასკნელ საათს

ალალი შრომის ჯილდო

დეპუტატი და ცხოვრება

კუდოს მთების გრეხილს ემაჯნება მაღაროსკარის ვაჟა-ფშაველის სახელობის კოლმეურნეობის შეძრხეკობის ფერმა. გვიანდერესებდა ამ ფერმის წველავებთან შეხვედრა. ჩემმა თანამგზავრმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლეკან უძილაურმა გამაცნო მარიამ ალუდაური. მარიამს აღრეგე ეცნობდი, მაგრამ შრომაში არ მინახავს. როცა მკლავებდაკაპიწებული შრომის ფეოხულში ვხედავ, განცვიფრებული დავრჩი. რომ იტყვიან, ჯარაოსავით ტრიალებდა პატარა, უბრალო და მოკრძალებული ქალიშვილი.

სწორედ ამ სასახელო შრომისათვის ფშავ-ხევსურეთის მცხოვრებლებმა, თანასოფლელებმა, მეზობლმა კოლმეურნეებმა მარიამ ალუდაური ერთხმად აირჩიეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატად.

მარიამმა ეს დიდი ნდობა დიმსახურა იმ თავდადებული შრომით, რომელსაც მზესა და ქარში, წვიმასა და თოვლში დაუღალავად წლების მანძილზე ეწევა.

ქათქათა რძით სავსე ვედრა კასრი გზაზე შორიდანვე ჩანდა. მარიამისათვის არ მითხოვნია ეამბნა რაიმე თავისი ცხოვრებიდან, ისედაც კარგად ვიცოდი.

მარიამს მამა ადრე გარდაეცვალა. დედამ ძუძუთა ბავშვი ხევსურეთიდან ფშაველში ჩამოიყვანა. მაგრამ ბედმა უმუხლა, დედამისიც მალე მიწას მიაბარეს.

მარტოდმარტო დარჩა დაობლებული მარიამი. მაგრამ კეთილმა მეზობლებმა მის კერაზე ცეცხლი არ ჩაქრეს. პატარა მარიამს ფშაველი მანდილოსნები დედურ მზრუნველობას არ აკლებდნენ.

გავიდა დრო. არაგვის ხეობაში, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. მარიამს მეზობლები კვლავ თავს დასტრიალებდნენ, ხელს უწყობდნენ სწავლაში. მან სოფლის შვიდწლიანი სკოლა დაამთავრა და სოფლად დარჩენა ამჯობინა. კოლმეურნეობის მეხბორედ დაიწყო მუშაობა.

კეთილსინდისიერი შრომით სოფლის მშრომელთა და ხელმძღვანელთა პატივისცემა და სიყვარული დიმსახურა. მალე სრულიად ახალგაზრდას ათი ძროხა ჩაბარეს. დიდხანს შრომობდა უხმაუროდ, ეცნობოდა სოფლის მეურნეობის მოვაჭრეებს, მეცხოველეებს, იძენდა ცოდნას, ახალ გამოცდილებას. ცდილობდა ყურადღებიდან არაფერი გამორჩენოდა. შედეგსაც მიაღწია. პირველ ხანებში 1.500-1.900 კილოგრამი რძე მიიღო საშუალოდ ერთ ძროხაზე, აღსანიშნავია, რომ მარიამის ინიციატივით შეიქმნა აგგლობრივი ხევსურული ჯიშის მაღალპროდუქტიული დედაპირუტყვის სპეციალური ჯგუფი. ამ ჯგუფის ძროხებიდან შარშან 2.500 კილოგრამი რძე მიიღო თვითეულ ძროხაზე, ეს კი ათ წელზე მეტია მარიამ ალუდაური სახელოვნად ატარებს მწველავის საპატიო სახელს. მას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ.

ორი წელია მარიამი სათავეში უდგას კომკავშირულ მწველავთა კომუნისტური შრომის ბრიგადას. რძის წველის მაღალ ორტატობაში დახელოვნდნენ მისი ბრიგადის წევრები. დეპუტატს გვერდს უმშვენებენ შრომის მაღალი კულტურის ადამიანები. დობილები მარიამ ნაყეური, ეთერ მახატერი, ეთერ ბეთხაშვილი, ეთერ უძილაური და სხვ.

დიდხანს გვესაუბრა მარიამი ფერმაში მუშაობის თავისებურებაზე.

— წველადობის ზრდას დედაპირუტყვის მოვლის ზოოტექნიკური წესების ზუსტად დაცვით, საკვები რესურსების გონივრულად გამოყენებით მივაღწევ. ჩაბარებული მყავს ხევსურული ჯიშის ჩემიგე შერჩეული თხუთმეტი ძროხა. ზუსტად ვიცავ კვების რაციონს და პირუტყვისადმი საკვების საცხოვებელი მეშობრების დროს. სისტემატურად ვაწარმოებ ძროხებისათვის საკვების მიცემას და მიღებული რძის აღრიცხვას. კარგად ვიცი, დღეში ძროხამ რამდენი რძე უნდა მოიწველოს. წველადობის ოდნავი შემცირების დროს სასწრაფოდ ვიღებ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, პირუტყვს ვაძლევ დამატებით საკვებს. რაციონალურად ვიყენებ ფშავ-ხევსურეთის ალპური ზონის საზაფხულო საძოვრებს.

საერთოდ წველადობის გადიდება ძროხის კვებაზეა დამოკიდებული.

მარიამმა წელსაც გადაჭარბებით შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.. 2.500 ლიტრი რძე მიიღო თვითეულ ძროხაზე. ამ მაჩვენებლებით წარდგა იგი რესპუბლიკის პარლამენტის შორიგ სესიაზე, რომელიც დღეს იხსნება.

არაგვის ხეობის სახელოვანი ქალიშვილია მარიამ ალუდაური. იგი შრომაში ფშავ-ხევსურეთის მთებივით ამაყი და შეუპოვარია.

ი. ქართველიშვილი.
სოფლკორი.

მომავალზე ფიქრით

მთელი სიზუსტით ჩავატაროთ ინვენტარიზაცია, დადგენილ დროში შევავსოთ წლიური ანგარიში

სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება. კოლმეურნეობებში განვლილ მუშაობას აჯამებენ.

კოლმეურნეობათა გამგეობები და ბუხჰალტრები გაცხოველებით მუშაობენ, რომ მაღალ დონეზე ჩატარონ ინვენტარიზაცია და მთელი სიზუსტის დაცვით შეადგინონ წლიური ანგარიში.

საბჭოთა ადამიანები სიამაყით ვფლობენ თავლს გავლილ გზას. მიმდინარე წელს საქართველოს სოფლის მშრომელებმა სასიხარული შედეგებს მიაღწიეს — ჩაის მწვანე ფოთლის წარმოების შეადწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში წარმატებით შესრულეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმებაც დაიმსახურეს. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა, ასევე წარმატებით მიმდინარეობს ხილის, ციტრუსების ნაყოფის და სხვა პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შესრულება.

იმისათვის, რომ მომავალ წელს სწორად გავუძღვეთ მეურნეობას, სწორად დავგეგმოთ პროდუქციის წარმოების გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა, აუცილებელია შევაჯამოთ წლის შედეგები და მიღწეულის საფუძველზე დავსახოთ მომავლის გეგმები. ეს საჭიროა იმისათვის, რომ გაეერკვეთ დაშვებულ ნაკლოვანებებში, გავითვალისწინოთ შეცდომები მეურნეობის ხელმძღვანელობაში და გამოვაელინოთ გამოუყენებელი რეზერვები.

თავის წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „წლის შედეგების შეჯამებისა და მარცვლეულის წარმოებისა და შესყიდვის შესახებ“ ანგარიში ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს: **„ყოველმხრივ უნდა შევაჯამოთ შედეგები იმ მიზნით, რომ კარგად მოვემზადოთ მომავალი წლისათვის, შევისწავლოთ საუკეთესო- კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, განყოფილებების, ფერმების, ბრიგადების გამოცდილება როგორც მეცენარეობაში, ისე მეცხოველეობაში — პირუტყვის კვების მეთოდები, ცხოველთა მოვლა-შენახვის სისტემა, საკვების წარმოების გამოცდილება და სხვა“.**

კოლმეურნეობის წლიური ანგარიშის სიზუსტის პირველ და აუცილებელ პირობას მისი ბალანსის ყველა მუხლის სრული ინვენტარიზაცია წარმოადგენს.

წლიური ინვენტარიზაციის მიზანია საკოლმეურნეო ქონების დაცვის დადგენა, ნაკლოვანებათა გამოვლენება, საკოლმეურნეო ქონებისა და დოვლათის უყაირათოდ მოგლის, გაფუჭების, დაკარგვისა და დატაცების ფაქტების გამოვლინება, სადაც კი ამას ჰქონდა ადგილი, და გამოვლინებული ნაკლის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

ამისათვის კი საჭიროა კოლმეურნეობის მრავალ ქონებრივ-მატერიალური ფასეულობების და ფულადი სახსრების ნაშთების აღწერა ნატურით და ამ მონაცემების შედარება საბუხჰალტრო აღრიცხვის მონაცემებთან, ფაქტობის თუ დანაკლისის მიზეზების დადგენა.

ინვენტარიზაციის ჩასატარებლად თვითეულ კოლმეურნეობაში გამგეობის სხდომაზე გამოიყოფა საინვენტარიზაციო კომისია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, რომელშიც შეიკრებენ ბუხჰალტერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტები, აგრეთვე 5-7 კოლმეურნე.

საინვენტარიზაციო კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გაზომვის გზით უხეში საკვების, სილოსის ზუსტი წონის დადგენას. პრაქტიკაში ბევრია ისეთი შემთხვევა, როდესაც ბაგეში კვების პერიოდის დამთავრებას შემდეგ იმის გამო, რომ საკვების წონა სწორად არ იყო განსაზღვრული, აღმოჩნდება ხოლმე თივის, ჩალის, სილოსის დანაკლისი.

საინვენტარიზაციო კომისია აწარმოებს წარმოებას ძირითადი საშუალებების, კაპიტალური მშენებლობის, დაუმთავრებელი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების, მანქანებისა და შენობებს, ნაგებობათა და მოწყობილობათა, სათადარიგო ნაწილებისა და სარემონტო მასალების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და დამხმარე საწარმოთა პროდუქციის, დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების, სალაროში ნაღდი ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაციას;

ეწყობა აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავების (მსმენიარისა და ახალშენის), მემოდგომის ნათესების, მოზრდილი და მოზარდი პირუტყვის, ფრინველის და ფუტკრის ოჯახების ინვენტარიზაცია.

როგორც ვიხედავთ, საინვენტარიზაციო კომისიის დიდი სამუშაო აქვს, რომელიც მან 1 იანვრამდე უნდა დაამთავროს.

მხოლოდ ამ წესით ჩატარებული ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს წლიური ანგარიშის სწორად შედგენას, რაც უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ინვენტარიზაციის შედეგების სათანადო აქტის გაფორმებით გამგეობის სხდომაზე, სარეციზიო კომისიის მონაწილეობით ამ აქტის განხილვის შემდეგ სათანადო გადაწყვეტილებათა მიღებით, შესაბამისი საბუხჰალტრო გაანგარიშებისა და საბუხჰალტრო აღრიცხვით 31 დეკემბრის ჩათვლით ყველა ოპერაციის გატარება უნდა დამთავრდეს და ანგარიშები დაიხუროს, 1963 წლის 1 იანვრისათვის დასკვნითი ბალანსი შედგენილი უნდა იყოს.

საწარმოო სამმართველომ არ უნდა გაინიხლოს და დაამტკიცოს ისეთი წლიური ანგარიში, რომელიც ზემოაღნიშნული საკანონმდებლო წესების დარღვევით და ზერელედ არის შედგენილი.

სამწუხაროდ, ყველგან როდი იცავენ ინვენტარიზაციის ჩატარების ამ წესს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში უხეშად ირღვევა ინვენტარიზაციის ჩატარების წესი, ხოლო ზოგჯერ წლიურ ანგარიშს ადგენენ ინვენტარიზაციის ჩატარებლად და საბუხჰალტრო ანგარიშების დაუხურავად, სამეურნეო ოპერაციების ნაწილის აღრიცხვის დავთრებში გაუტარებლად.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფელ ავნევის კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია საბუხჰალტრო აღრიცხვა. გასულ წელს ამ კოლმეურნეობაში პირუტყვის, ფრინველის, დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებისა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების ინვენტარიზაცია არ ჩატარებიათ. ამ კოლმეურნეობის მეღორეობის და მეფრინველეობის ფერმებში პირველადი საწარმოო აღრიცხვა ჩაშლილია.

სამტრედიის საწარმოო სამმართველოს ზოგიერთ კოლმეურნეობაში წლიური ინვენტარიზაციის ჩატარების დროს ინსტრუქციით არ ხდება პირუტყვის ასაკობრივი [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

მშვიდობის ძალები იმარჯვებენ

დასავლეთი ბერლინი, 18 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი მ. პანშინი იუწყება:

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებზე. მოსახლეობის სხვადასხვა ფენა კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოწოდებას ხალხებისა და მთავრობებისადმი — არ დაუშვან საერთაშორისო დაძაბულობის საშიში გამწვავება, როგორიც იყო კარიბის ზღვის რაიონში, იბრძოლონ გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემების დაუყოვნებლივ მოწესრიგებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დასავლეთ ბერლინის საზოგადოების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა რ. ელიასმა, დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულმა და მოქნილმა საგარეო პოლიტიკამ, მთელი სოციალისტური ბანაკის ძალამ და მშვიდობის ძალების ბრძოლამ ხელი შეუწყეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცებას. ძალთა ახალი თანაფარდობა მსოფლიოში და კომპრომისებისათვის ნამდვილი მზადყოფნა გვაძლევენ საშუალებას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადავჭრათ ყველა სადავო საკითხი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სწორად განაცხადა, რომ კუბის კრიზისის მაგალითი გვიჩვენებს, რომ საჭირო და შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა. ჩვენზეა დამოკიდებული არ დავუშვათ, რომ საქმე მივიდეს დასავლეთ ბერლინის კრიზისამდე, რომელიც შეიძლება შექმნან დასავლეთგერმანელმა მილიტარისტებმა. დადგა გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინის პრობლემის გადაჭრის დრო. ყველა საღად მოაზროვნე დასავლეთბერლინელის წინაშე ახლა დგას ამოცანა — იბრძოლონ ასეთი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის".

დასავლეთ ბერლინის გაზეთები კომენტარს უკეთებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას და აღნიშნავენ, რომ აუცილებელია გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის საკითხების განხილვა. „კუბის კრიზისის შედეგმა, — წერს გაზეთი „დერკურერი", — გარდატეხა გამოიწვია საგარეოპოლიტიკურ განვითარებაში და არა ნაკლებ გერმანიისა და ბერლინის საკითხებში".

გაზეთი „შპანდაუერ ფოლკსბლატი" მოუწოდებს ბონის ხელისუფლების წრეებს „გამოიტანონ გაკვეთილები კუბის ამბებიდან" და აფრთხილებს მათ არ გამოვიდნენ როგორც „მშვიდობის დამრღვევნი" ისეთ ვითარებაში, როცა „გუბას იკვლევს დაძაბულობის შენელების პოლიტიკა".

პარიზი, 18 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. მანიენანი იუწყება: დემოკრატ იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ შარლ ლედერმანმა სსრ კავშირის უმაღლესი სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო საკდესის კორესპონდენტს განუცხადა: ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომ კარიბის ზღვის კრიზისის ლიკვიდაციის საქმეში გაიმარჯვა გონებამ, მშვიდობის საქმემ და ხალხთა კეთილგონიერებამ, გვიჩვენებს, რომ მშვიდობის ძალებს შეუძლიათ ჩაშალონ ომის ძალების ყოველგვარი მაქინაციები. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ეს განცხადება ჯეროვნად შეაფასეს ფრანგებმა, რომლებსაც აგრეთვე შეეხებოდა ატომური ომის საფრთხე.

ტოკიო, 18 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბირიუკოვი იუწყება: „ჩვენ ყოველნაირად ვუჭერთ მხარს გონივრულ პოზიციას, რაც სსრ კავშირმა დაიკავა კუბის კრიზისის დროს. იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭო დიდი სიმპათიით ეკიდება იმას, რომ კუბის კრიზისის დროს და რთულ ცვალებად ვითარებაში საბჭოთა კავშირი, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრია მსოფლიოს ბედისათვის, ახორციელებდა და ახორციელებს მოქნილ რეალისტურ პოლიტიკას", — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს საერთაშორისო განყოფილების გამგემ რიოძი კოიამამ.

კაცობრიობის წინაშე, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ იაპონიის ამ ყველაზე დიდი პროფკავშირული გაერთიანების წარმომადგენელმა, დგას განსაკუთრებით სერიოზული საკითხი — ან მშვიდობა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე ანდა მშვიდობა შიშის წონასწორობის საფუძველზე. ჩვენ ვემხრობით მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, რომელიც ხაზგასმით აღნიშნა თავის მოხსენებაში პრემიერ-მინისტრმა ხრუშჩოვმა, აქტიურად ვუჭერთ მხარს და სავსებით ვიწონებთ მას.

კოიამამ ილაპარაკა იაპონია-საბჭოთა კავშირის საზავო ხელშეკრულებაზე, რომელსაც შეეხო ნ. ს. ხრუშჩოვი თავის მოხსენებაში, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონიამ უნდა დადოს ეს ხელშეკრულება. ამისათვის თქვა მან, საჭიროა, რომ იაპონიისა და საბჭოთა კავშირის მუშები განუწყვეტლივ აფართოებდნენ ურთიერთ კონტაქტებს, განამტკიცებდნენ ერთიანობას.

ამბები, დეკეშები, ცნობები

განათლების, მეცნიერების ამოცანები

დამთავრდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა, 19 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს პოლონეთის დედაქალაქში დამთავრდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმი. პლენუმმა განიხილა ძირითადი ამოცანები უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევის დარგში. როგორც პოლონეთის პრესის საინფორმაციო იუწყება, პლენუმზე სპბოლო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ.

პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც სახავს ამოცანებს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევის დარგში.

დახურულ დარბაზში

ბერლინი, 18 დეკემბერი (საკდესი). ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოში გაიმართა ადენაუერის კანცელარიის ხელმძღვანელის სტატს-მდივნის გლობკეს დაკითხვა მისი საქმიანობის შესახებ „შესამე რაიხის" პერიოდში. როგორც პრესა იუწყება, ამ ყოფილი ნაცისტის დაკითხვა, რომელსაც ამჟამად მაღალი სახელმწიფო პოსტი უკავია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მიმდინარეობდა დახურულ დარბაზში.

გლობკეს დაკითხვა დაკავშირებულია სასამართლო საქმესთან, რომელიც მან თითონ აღძრა მიუნხენელი ჟურნალისტისა და მწერლის როლფ ზელგერის წინააღმდეგ.

გლობკეს დაკითხვის დროს ყურადღების ცენტრში იყო ნაცისტური შინაგან საქმეთა მინისტრის ფრიკის 1938 წლის 25 აპრილის წერილი ჰიტლერის მოადგილის რუდოლფ ჰესისადმი. ფრიკმა შეიტანა წინადადება დაჯენშნათ გლობკე სამინისტროს მრჩეველად, რაც იმით დასაბუთა, რომ იგი არის სამინისტროს ერთ-ერთი „ყველაზე ნიჭიერი და გულმოდგინე მოხელე" და აქტიური მონაწილეობას იღებდა მთელი რიგი ნაცისტური კანონების შემუშავებაში. ფრიკი იმოწმებს, კერძოდ, „გერმანული სისხლისა და გერმანული ღირსების დაცვის კანონს" და სხვ.

ადენაუერი: — სხვა რეჟიმების დასასრულს მოვესწარი, ჩემი რეჟიმის დასასრულსაც მოვესწრები...

ნახატი ი. კაინარისა ჩეხოსლოვაკიურ სატირულ ყოველკვირეულ ჟურნალ „დიკობრაზიდან".

დასავლეთის სასაცილო მტკიცებანი

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა გუშინდელ დილის სხდომაზე დაამთავრა კორეის საკითხის განხილვა.

დისკუსიამ კომიტეტში დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ აქტიალურია სამხრეთ კორეიდან უცხოთის ჯარების გაყვანის საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა.

მთელი რიგი ნეიტრალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელთა გამოსვლები შეიცავდა მოწოდებას, რომ ბოლო მოეღოს წარსულის დამღუპველ პრაქტიკას და გადაეჭრას კორეის საკითხი რეალური ვითარების გათვალისწინებით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოზიციის გათვალისწინებით, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად.

ერიელ გამოსვლაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ვ. ა. ზორინმა შეჯამა კორეის საკითხზე დისკუსიის შედეგები. მან სასაცილოდ მიიჩნია დასავლეთის იმ დელეგატთა მტკიცებანი, რომლებიც „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალებს", „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აგენტებს" უწოდებენ ამერიკის არმიას კორეაში, რომელიც პენტაგონის ბრძანებებს ასრულებს.

საბჭოთა დელეგატმა შემდეგ ამხილა მეორე სიცრუეც იმის შესახებ, რომ სამხრეთ კორეაში დარჩენილ ჯარები თითქოს არ შეიძლება იყვნენ საშიში, რადგან ისინი მხოლოდ „სიმბოლური" ჯარები არიან". საკითხავია, როდის გახდა რაკეტები და ატომური იარაღი ამერიკელ წარმომადგენელთა თვალში „სიმბოლური იარაღი", — იკითხა ვ. ა. ზორინმა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გადაბრით დაგმო დასავლეთელ დელეგატთა ცდა სახელი გაუტეხონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარეულ პოლიტიკას.

დასასრულ ვ. ა. ზორინმა კვლავ ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა მთავრობა კორეის საკითხში ხელმძღვანელობს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცების ინტერესებით, იმით, რომ ნამდვილად შეუწყოს ხელი კორეის მშვიდობიან და დემოკრატიულ გაერთიანებას გარეგან ჩაურევლად. ამას კი შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ კორეიდან გაყვანილ იქნებიან უცხოთის მთელი ჯარები და, უწინარეს ყოვლისა, მათი ძირითადი ბირთვი — ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები.

ღამის სხდომაზე კომიტეტი კენჭს უყრის რეზოლუციის ორ პროექტს — საბჭოთა კავშირის პროექტს, რომელიც მოითხოვს უცხოთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას სამხრეთ კორეიდან, და 15 ქვეყნის რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოითხოვს გაგრძელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა კომისიის მანდატი და მოუწოდებს ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებს დაეთანხმონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს, რომ შეიქმნას გაერთიანებული დამოუკიდებელი დემოკრატიული კორეა.

ნიუ-იორკი, 19 დეკემბერი. (საკდესი). თავის გუშინდელ საღამოს სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დეკლარაციის ერთობლივი პროექტი იმის შესახებ, რომ მშვიდობიან საკერიოებებს მოხმარდეს ბალისტიკური ბალიანების შეღებად განთავისუფლებული სახსრები და რესურსები.

ინდონეზია - იუგოსლავიის კომუნიკე

ჯაკარტა, 19 დეკემბერი (საკდესი). ამასწინანდელი ოფიციალური ვიზიტისა და ინდონეზიის სახელმწიფო მოღვაწეებთან საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილის ე. კარდელის მოლაპარაკების შედეგად აქ გამოქვეყნდა ინდონეზია-იუგოსლავიის ერთობლივი კომუნიკე. ამ დოკუმენტში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ორივე მთავრობა გმობს იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს, ყველა მათ გამოვლინებას და აცხადებს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ, რათა შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ. ინდონეზიისა და იუგოსლავიის მთავრობებმა, აღნიშნულია კომუნიკეში, კვლავ დაადასტურეს, რომ ერთგული არიან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისა, რომლებიც ერთადერთი შესაძლებელი და რეალისტური ბაზაა სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად.

მერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამეუპვდა ატომური რეაქტორი

ბერლინი, 18 დეკემბერი. (საკდესი). დღეს დრეზდენის ატომგულის ფიზიკის ცენტრალურ ინსტიტუტში ამუშავდა პირველი ატომური რეაქტორი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეგრეთწოდებული ნულოვანი რეაქტორი.

ტელეგრამები გვატყობინებენ

☐ **ფლის ამ დროისათვის უჩვეულო ობიერმა ამინდმა ჩრდილოეთ ესპანეთში** მღინარეების **აღიდება გამოიწვია ქალაქ ოვიედოს მახლობლად.** როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება, წყალდიდობის შედეგად უსახლკაროდ დარჩა 1.700 კაცი და წალეკილია ერთი ხახტი. მღინარეების აღიდება შედეგია თოვლის დნობისა კანტაბრიის მთებში.

☐ **არაბთა** გაერთიანებული რესპუბლიკის ინფორმაციისა და ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა აბდელ კადერ ხატემმა განაცხადა, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა მზად არის თანდათანობით გაიყვანოს თავისი ჯარები იემენიდან, თუ საუდის არაბეთი და იორდანია შეწყვეტენ პროვოკაციებს რესპუბლიკური იემენის მიმართ.

☐ **სენეგალის** ეროვნულმა კრებამ ხმა მისცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტის გაუქმებას და სენეგალში გამგეობის საპრეზიდენტო სისტემის შემოღებას, ამას იუწყება დაკარიდან ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი.

ეროვნულმა კრებამ ხმა მისცა აგრეთვე სენეგალის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მამადუ დიას საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევას.

☐ **სენეგალის** რესპუბლიკის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მამადუ დიამ ღამე შინა პატიმრობაში გაატარა. დაპატიმრებული არიან აგრეთვე ყოფილი ეკონომიური განვითარების მინისტრი იბრაჰიმ სარი, ტრანსპორტისა და კომუნიკაციათა მინისტრი ჟოზეფ მბაიე და პრემიერ-მინისტრის კანცელარიის ყოფილი უფროსი ასან დიოპი.

რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება დაკარიდან, რომ პოლიცია დაიძებს მამადუ დიას მომხრეებს: ყოფილ ფინანსთა მინისტრს ვალიოდიომ ნდიაიესა და შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსს ამადუ ფალს, რომელსაც გუშინ ჩამოერთვა გენერლის წოდება.

ცნობაში ნათქვამია, რომ დაკარში აღდგენილია სიმშვიდე.

☐ **არგენტინოს** კონცხიდან შეერთებულმა შტატებმა გაუშვეს ახალი საიდუმლო თანამგზავრი. სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელმა უარი თქვა გამოეცხადებინა რაიმე თანამგზავრის შესახებ, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი.

ამერიკაში ძლიერდება კომპარტიის დევნა

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკდესი). ისარგებლა რა ვაშინგტონის სასამართლოს გადწყვეტილებით, რომელმაც ამერიკის კომუნისტურ პარტიას ბრალად დასდო ყბადაღებული მაკარენის კანონის დარღვევა, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ ახლა მოითხოვა კომპარტიის ცალკეული ხელმძღვანელების გასამართლება.

იუსტიციის სამინისტროს მაღალი თანამდებობის მოხელემ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მან სასამართლოებს მიმართა თხოვნით დააწესონ ჰეს ბოლისა და ბენჯამინ დევისის წინააღმდეგ სასამართლო პროცესების დაწყების თარიღები. მათ, ისე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიას, მთლიანად, ბრალად ედებენ, რომ უარი თქვეს რეგისტრაციაში გატარებულიყვნენ როგორც „უცხო სახელმწიფოს აგენტები".

გარდა ამისა, იუსტიციის სამინისტრო მოითხოვს, რომ კიდევ თოთხმეტი კომუნისტი გატარდეს რეგისტრაციაში სამინისტროში, როგორც ასეთი „აგენტები", თუ მათ უარი განაცხადეს, იუსტიციის სამინისტრო აღძრავს სასამართლო საქმეს ამერიკის შეერთებულ შტატების კომუნისტური პარტიის ამ მოღვაწეთა წინააღმდეგ.

ნიუ-იორკი უგაზეთოდ

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. (საკდესი). უკვე ოერთმეტი დღეა, რაც ნიუ-იორკის მცხოვრებნი ვერ იღებენ გაზეთებს იმის გამო, რომ გრძელდება სტამბების მეშათა გაფიცვა.

დღეს განახლდება მოლაპარაკება გაზეთების გამომცემლებსა და გაფიცულ მბეჭდავებს შორის. მოლაპარაკება, რომელიც 12 დეკემბერს წარმოებდა, უშედეგოდ დამთავრდა.

ინდოეთში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება

დელი, 18 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ინდოეთის დეპეშათა საგენტო იუწყება, ჰაიდარაბადში (ანდჭრას შტატი) დაპატიმრებულია ინდოეთის პარლამენტის სახალხო პალატის ორი დეპუტატი კომუნისტი. ბონგალორში, (მაისორის შტატი) დაპატიმრებულია საკანონმდებლო კრების დეპუტატი. სულ მაისორისა და ანდჭრას შტატებში დაპატიმრებულია 56 ინდოელი კომუნისტი.

პრესის ცნობებით, ინდოეთის კომუნისტური პარტიის მადჰა პრადეშის შტატის ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა საპროტესტო შემორანდუმი 14 კომუნისტისა და პროფკავშირული მოღვაწის დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვა მათი განთავისუფლება. შემორანდუმი გადაეცა ამ შტატის მთავარ მინისტრს.

პენჯაბელ კომუნისტთა დეპუტაცია ეწვია პენჯაბის მთავარ მინისტრს და მოუწოდა მთავრობას გაათავისუფლოს 48 კომუნისტი, რომლებიც დაპატიმრებულნი არიან.

პარიზი, 18 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო მაღრასიდან იუწყება, აქ დაპატიმრებულია ინდოეთის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე რამამურტი.

ნერუს ინტერვიუ

დელი, 19 დეკემბერი, (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ საკდესისა და პრესის საგენტოს „ახალი ამბების" კორესპონდენტებისათვის მიცემულ ინტერვიუში სთხოვა მათ შემდეგი საახალწლო სურვილები გადასცენ საბჭოთა ხალხს:

„ძალოლაცავ საბჭოთა ხალხს ახალ წელს და ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ. მეგობრობა და თანამშრომლობა, რაც უკანასკნელ წლებში სულ უფრო მტკიცედ ალაკვირებს საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს და ამ ქვეყნების ხალხებს, შეტად გეახარებს და გვამხნევებს.

ბედნიერი ვარ, რომ გავიგე წარმატებათა შესახებ, რომლებსაც საბჭოთა კავშირმა მიაღწია თავისი დიდი გეგმების განხორციელებაში. განსაკუთრებით მახარებს ის, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ ახორციელებს მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მჯერა, რომ მომავალ წელს ჩვენ გადავდგამთ დიდ ნაბიჯს წინ ანგარიშვალებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განხორციელების გზაზე".

ინდონეზია - იუგოსლავიის კომუნიკე

ჯაკარტა, 19 დეკემბერი (საკდესი). ამასწინანდელი ოფიციალური ვიზიტისა და ინდონეზიის სახელმწიფო მოღვაწეებთან საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილის ე. კარდელის მოლაპარაკების შედეგად აქ გამოქვეყნდა ინდონეზია-იუგოსლავიის ერთობლივი კომუნიკე. ამ დოკუმენტში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ორივე მთავრობა გმობს იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს, ყველა მათ გამოვლინებას და აცხადებს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველი ღონე იხმარონ, რათა შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუცია კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ. ინდონეზიისა და იუგოსლავიის მთავრობებმა, აღნიშნულია კომუნიკეში, კვლავ დაადასტურეს, რომ ერთგული არიან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებისა, რომლებიც ერთადერთი შესაძლებელი და რეალისტური ბაზაა სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნებს შორის ურთიერთობის დასამყარებლად.

ჯ. მუჯიკას მანდატადება

დელი, 19 დეკემბერი (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულური სამდივნოს წევრმა ბჰუპ

მეცნიერება და ტექნიკა

მხნეობის პრეპარატი

მოხდა ისე, რომ დამქანცავი შრომის შემდეგ ადამიანს ღამის მორიგეობამ მოუწია. იგი ცდილობს ფიზიკურად აღეგნოს თვალყური ხელსაწყოებს. მაგრამ გამთენიისხანს ძილი სძლევს მორიგეს — აშკარად ეტყობა, რომ მტკივ დაიქანცა. გასამხნევებლად იგი კოფეინის ტაბლეტს იღებს, ცივი წყლით პირს იბანს, სვამს მაგრ. ჩაის. ყველაფერი ეს ოდნავაც ვერ უმსუბუქებს მდგომარეობას.

როგორ ავაცილოთ თავიდან დაღლილობა, გარკვეული დროით გავახანგრძლივოთ ადამიანის შრომისუნარიანობა, ავამაღლოთ სულიერი მხნეობა? ამ პრობლემაზე ბეჯითად მუშაობენ მეცნიერები როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიც. ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოჩნდა ფენამინი, რომელიც ფართოდ არის რეკლამირებული როგორც დაღლილობის სწრაფაღმდეგი საუკეთესო საშუალება. მაგრამ, როგორც ცდებმა ცხადყო, ფენამინი სრულიადაც არ წარმოადგენს გამამხნევებელ საშუალებას. იგი უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, წამლავს ორგანიზმს. ამაღლებს წნევას.

საბჭოთა მეცნიერებმა ხელი მოჰკიდეს ისეთი გამამხნევებელი პრეპარატის შექმნას, რომელიც მავნებელი არ იქნება ორგანიზმისათვის. იგი შექმნეს. კიროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ფარმაკოლოგიის კათედრის თანამშრომლებმა ხანგრძლივი ძიების შემდეგ გამოიგონეს ახალი პრეპარატი. — ფენატინი. თავისი მოქმედებითა და თვისებებით იგი დღემდე არსებულ ნერვული სისტემის ყველა სტიმულიატორზე უკეთესია. ფენატინი პროფესორ ს. არბუზოვის პირშრომა.

— ეს პრეპარატი, — მოგვითხრობს პროფესორი, — ფენამინისა და ნოკოტინმჟავას კონდენსატს წარმოადგენს. ფენატინს მასტიმულირებელი მოქმედების უნარი ახასიათებს და ამავე დროს აქვეითებს წნევას. მისი გამოყენება შეუძლიათ ადამიანებს, რომლებიც ხანგრძლივ დაძაბულ სამუშაოს ასრულებენ, ჰიპერტონიით დაავადებულთ.

პრეპარატი ამაღლებს ნივთიერებათა ცვლას და ამდენად მისი გამოყენება შეიძლება სიმსუქნის დროს. მოხუცებულობის ასტენიისას. ფენატინი, ფენამინისაგან განსხვავებით, არ იწვევს ნერვული სისტემის გადაღლას, თუ მას ბოროტად არ გამოიყენებთ.

ჩვენს კათედრაზე მიღებულია ფენატინისაგან წარმოებული სხვა მედიკამენტებიც, რომლებსაც საუკეთესო თვისებები აქვთ. ფენამინისა და პირიდოქსინის კონდენსაციის პროდუქტია პირიდოქსიფენი. იგი აუცილებელია კლინიკურ პრაქტიკაში ნერვული სისტემის მთელი რიგ დაავადებათა მკურნალობისათვის.

ჩვენ დაკვირვებით განვაგრძობთ კიდევ უფრო ქმედითი სტიმულატორების ძიებას. ამისათვის საჭიროა ღრმად შეგისწავლოთ ნერვულ ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის პროცესები, რომლებიც იწვევენ მის გაღაღლას. ეს ადამიანს შესძენს იარაღს, რომლითაც მას შეეძლება საბოლოოდ დაამარცხოს დაღლილობა.

საინფორმაციო „ახალი ამბები“.

ვულკანები ვენერაზე

ასტრონომ ნ. ა. კოზირევის ახალი აღმოჩენა

პულკოვო, 19 დეკემბერი. (საკბდ. სა). მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის სამეცნიერო - საბჭოს ღია სხდომაზე მოხსენება — მოქმედი ვულკანების რაიონში სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები, რომლებმაც შუქი მოჰფინეს ვენერას ვულკანურ მოქმედებას, გააკეთა ცნობილმა პულკოველმა ასტრონომმა ნ. ა. კოზირევმა. თავისი მოხსენება მეცნიერმა დასასაბუთა სპექტრების ფოტოგრაფებითა და გაზომვათა შედეგებით.

ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭომ აღნიშნა, რომ კვლევა ორიგინალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ა. კოზირევმა თქვა:

— მიმდინარე წელს პულკოვოს ობსერვატორიამ კამჩატკის ვულკანურ სადგურთან ერთად მოაწყო მეცნიერული ექსპედიცია კამჩატკის კლიუჩევსკის ჯგუფის მოქმედ ვულკანების რაიონში. ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი ვულკანის კვამლისა და ალის მთანთქმის სპექტრთა ფოტოსურათები. მათ გამოავლინეს, რომ სპექტრის ხილულ ნაწილში არის შთანთქმის ორი ზოლი. ჯერ კიდევ 1953 წელს, როცა ყირიმის ობსერვატორიის მოვედანზე ვმუშაობდი, შევეძელი აღმოგვეჩინა ასეთივე ზოლები ვენერას სპექტრში. მაგრამ ამ ზოლების ბუნება დღემდე სრულიად გაუგებარი იყო.

ასეთი ზოლების არსებობა ვულკანური კვამლის სპექტრებში საფუძველს იძლევა მივიჩნიოთ, რომ ვენერაზე ძლიერ განვითარებული ვულკანების მოქმედება.

საინტერესოა, რომ ეს ზოლები, როგორც ჩემმა კვლევამ ცხადყო, ამსოლუტურად არ არის მარსის ატმოსფეროში. ამრიგად, გვაქვს საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ამ პლანეტაზე თუ კი არსებობს ვულკანური მოქმედება, იგი მნიშვნელოვნად უფრო სუსტია, ვიდრე ვენერასა და დედამიწაზე.

ახლა პულკოვოს ობსერვატორიის სპექტრულ ლაბორატორიაში ვსწავლობთ იმ ქანების ნიმუშებს, რომლებიც ამოაფრქვიეს კამჩატკის ვულკანებმა.

კამჩატკის ტოლბაჩიკის ვულკანის ალის სპექტრებისა და მთვარეზე იმ ამოხეთქილი გაზების სპექტრების შედარების შედეგად, რომლებიც შევამჩნიე 1958 წელსა და 1961 წელს, გამოვიტანე ის დასკვნა, რომ მთვარის ქერქი თავისი ქიმიური შემადგენლობით განსხვავდება დედამიწის ქერქისგან. მთვარის გარეშრეები გაცილებით მდიდარია რთული ნახშირწყალბადიანი შენაერთებით, ვიდრე დედამიწის შრეები.

კიბერნეტიკის ინსტიტუტში

კიევი. უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში აკადემიკოს ვ. მ. გლუშკოვის ხელმძღვანელობით შეიქმნა ელექტრონულ გამოთვლელი მანქანა „პროტონი“. [illegible] ელექტრონულ გამოთვლელ მანქანებზე ეკონომიურად არსებულსაყრელია.

სურათზე: ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ა. დოროდნიცინა ახალ ელექტრონულ მანქანა „პროტონთან“.

„ზღვის ბილიკს“ ვუყურებთ

ფიქრები, შენიშვნები

სუფრასთან მარტოდ დარჩენილი ხანდაზმული კაცი გვიყურებს და არც კი გვამჩნევს...

ვუკვირდებით, ვუახლოვდებით და ვხედავთ, რომ თვალებში სევდის გუბე ჩასდგომია.

ცრემლი ბუნებრივად გვაოცებს. ვერ გაგვიგია, რატომ უნდა დანაღვლიანებულიყო ეს ბატონისანი ადამიანი ამ მეგობრულ სუფრასთან, ლხინში, რომლის მიზეზიც, როგორც ჩანს, თვითონ იყო.

რაღა გადარდებს, კეთილო ადამიანო? ვალმოხდილი ხარ ქვეყნის წინაშე, ღირსეულად განვლე ცხოვრების გზა და იმ დროსაც მოესწარ, რომელმაც ღირსეულად დაგიფასა, დაგასახლა და უზრუნველგყო. იბედნიერე! არა... არ გვეთანხმება ეს კაცი, თავისი გულის ხმით სხვას გვეუბნება — ბედნიერება ხომ საყვარელ საქმეში წილის გაღებაა, შენი მარჯვენის სასიკეთო დაუღლელობაშია და, როცა ბუნების ულმობელი კანონით მოსულ სიბერეს თავისი გაიქვს, ძნელია უმოქმედობასთან შერიგება, და ასეცაად ძნელია იმ დროში, რომელიც ადამიანურ ძალთა საოცარ ამოქმედებას იწვევს. საყოველთაო ამაღლებისას მით უფრო დიდია სურვილი საერთო საქმეში საკუთარი წვლილის შეტანისა და მით უფრო მტკივნეულია ფიზიკური უღონობის შეგნება: „იყავი, შეგეძლო, აკეთებდიო, იყავი ოდესღაც. ო, რა უკეთური, უმოური სიტყვაა — ოდესღაც“.

...ბუნების ძალებთან შერკინებისა და ვოლკანური ძლევის ასპარეზი ამ ადამიანისათვის ზღვა იყო და აი ერთ მშვენიერ დღეს, როცა სამსახურს გამოეთხოვა, კომფორტაბელურ ბინაში თავის ზღვაოსნურ სულს ადგილი ვერ უპოვნია...

ზღვის უცნობ ბილიკთა გამკვლევს ახლა დაკეცილი ქოლგა უჭირავს, ნაპირთან დგას და ერთადერთი წადილიდა დარჩენია — სხვას გაუზიაროს სულიერი სიმტკიცის გრძნობა.

ამგვარად აღვიქვამ ის ადამიანური ხასიათი, სერგო ზაქარიაძემ და „ზღვის ბილიკის“ გადამდებმა ჯუფმა რ. ჩხეიძის რეჟისორული თაოსნობით რომ დაგვიხატა.

ჩვენი ადამიანი და ამ ადამიანის სასიცოცხლო საქმე... ღირსეული თემაა. მრავალგვარადაც შეიძლება გადაიკრას. თუ გნებავთ, სწრაფი და ოპერატიული კინოდოკუმენტალისტის ენით.

არაერთხელ გვინახავს საზეიმო ვითარებაში გადაღებული კადრები: უფროსი კოლეგა თანამშრომლებს ეთხოვება... თაიგულები, სანუკვარი, გამოსათხოვარი სიტყვა და საერთო ტაში.

ამკრად „ზღვის ბილიკის“ ავტორები შეეცადნენ ჩვენეულ ბინეეთ იმ ადამიანის გულში, თავის საყვარელ საქმეს რომ ეთხოვება.

კომუნისტური ყოფის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა და საქმიანობა კარგავს მხოლოდ და მხოლოდ საარსებო ფაქტორის მნიშვნელობას და ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებისა და სულიერი ბედნიერების წყაროდ იქცევა. ამიტომაც, როცა ჩვენი საზოგადოების რიგითი წევრი სამსახურს ეთხოვება, იგი მაშინაც პოულობს საზოგადოებასთან კავშირის რაიმე ფორმას, ცხოვრებას მიჰყვება და სანამ სული უდგას, საკუთარ ხელსაც აშველებს.

ეს ასეა, მაგრამ საყვარელი საქმის მიტოვება ადვილი როდია იმ ადამიანისათვის, ამ საქმეს გრძნობა-გონებით რომ შესისხლხორცებია.

ძირითადად ასეთია სერგო ზაქარიაძის მოხუცი მეზღვაურიც. თავმდაბალი, კეთილი, სათუოდ გულგრძნობიერი, თანაც ამაყი და სულმაღალი ადამიანი. ბუნებით რომანტიკოსს არ შეუძლია მზიან აივანზე ძველები მოითბოს და ბალხის მოძრაობით გაირთოს თავი. გარემოს მშვიდად კი არ დაჰყურებს, არამედ წყურვილმოუკვლელი ადამიანივით ისრუტავს ცხოვრების ყოველი ახლად ამომსკდარი ყლორტის მათრობელ სურნელებას.

ბაგიდან გამოსული პატარების ყრიამული, ახალგაზრდების ნავარდი თუ მარშის ბანგზე აყოლებული მეზღვაურთა ნაბიჯის ხმა მას მოესმის როგორც ჰიმნი ამა ცხოვრებისა, რომელსაც თვითონ ყოველი კუნთის ყოველი მოძრაობით ემსახურება.

ფილმში ერთი ასეთი დეტალია... რიზიანად ჩავლილ მეზღვაურთა მტკიცე ნაბიჯს ზაქარიაძის მოხუცი თავისთვის შუმჩნევლად, ოდნავად ფეხს აყოლებს... დეტალი მრავალმეტყველია. ამ უნებლიე, რეფლექტორულ მოძრაობაში გეესახება ადამიანის დაუოკებელი სურვილი ცხოვრების მწყობრში ყველაზე ბედნიერ მონაწილეობისა. საქმეც ეს არის. „გვუბნებიან ფილმის შემქმნელნი, რომ სულის ასეთი მოძრაობა თუმცა სულ ოდნავად არის შესამჩნევი, მაგრამ სულის ამ მოძრაობით გამოხატული აზრი დაუორგუნავი და უძლეველია!

ადამიანს სულთან გადაჯდომილი საქმის მიღმა თავისი თავი ვეღარ წარმოუდგენია და სწორედ ამ „წარმოუდგენლობაშია“ პიროვნების ეშშარიტი სიდიადე!



მისთვის ესოდენ მტანჯველია ცხოვრებისაგან მოწყვეტილი სიმშვიდე!

„ზღვის ბილიკი“ ძირითადად ამ აზრის გამოხატვას ემსახურება. რეზო ჩხეიძის ამ ბოლო ფილმში სპეციფიკური კინოგამომსახველობითი ხერხების გაჟღერებული ძიება ეჯრქნობა და რეჟისორი მხატვრული მიგნების შესანიშნავ მაგალითებსაც აღწევს.

ჭეშმარიტი კინოოსტატის თვალით არის დანახული ფილმის დასაწყისი, მოხუცი მეზღვაურის მოგონებაში აღდგენილი სტუმარმა ინდივიდუალური ინტონაციები, მეგობრული ურთიერთობის ცოცხალი კვალი... აი ვიღაცას თეფშზე დარჩენია ვაშლის ნაჭრებისაგან გაკეთებული ყელმოღერებული გედი, შოკოლადის ნატეხი... და ჭამეიოდ ის ქალი წარმოგიდგებათ, ეგზომ გულში ჩამწვდომი სიტყვა რომ უთხრა მოხუცს... რეჟისორი უბრალო დეტალებსაც გვიჩვენებს, როგორც ხასიათების თავისებურ ანაბეჭდებს.

გმირის გარემო ამ ადამიანის თვალით არის დანახული, რომლის ბუნება დაუოკებელ მისწრაფებას შეუპყრია.

ზაქარიაძე ცხადად გვანიშნებს, რომ ზღვის სტიქია მოხუცს მაგნიტური ძალით იზიდავს და ამიტომაც ზედმეტად გვეჩვენა ის კადრი, სადაც ორეული მოხუცს ზღვისკენ ეპატიჟება. იქნებ იმიტომაც, რომ ორეული პანტომიმაში რაღაც იდუმალი, ხასიათთან შეუსაბამო ინტონაციაა ჩაქსოვილი.

ფილმში მაყურებელთა წინაშე პირველად და ჯერ ცუდად წარსდგნენ მ. თავაძე (დათო) და რ. ფარემუზაშვილი (მარინე).

აღსანიშნავია ფილმის ისეთი პროფესიული ხასიათის ღირსებანი, როგორიც არის ოპერატორ ფ. ვისოცკის მაღალი ოსტატობა, მხატვრობა (დ. ერისთავი, ა. ვერულეიშვილი). სულხან ცინცაძის მუსიკა შთამბეჭდავად გადმოსცემს უნაპირო სივრცის ატმოსფეროს.

მაგრამ ყოველივე ეს ფილმის შემქმნელებს როდი ათავისუფლებს სერიოზული კრიტიკისაგან.

ფილმის არსებითი ხასიათის ნაკლად ჩვენ მიგვაჩნია ხელოვნურად გაჭიანურებული ხედვითი მასალა და ტექსტის მეტისმეტი სიძუნწე. აქ ყოველთვის არ არის დაცული ის აუცილებელი პროპორცია, რომელიც დედაზრის მკაფიოდ გამოხატვას ემსახურება, ამასთანავე შესამჩნევია ფსიქოლოგიური ნიუანსებით ისეთი ჭარბი გატაცება, რაც გამომსახველი ხერხებით თავისთავად ტკბობის არასასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს.

დამდგმელი კოლეგენტივი აღნიშნულ ნაკლს ადვილად აიცდენდა, რომ გაუგებარი მიზეზის გამო სავსებით სადა სიუჟეტი ხელოვნურად არ გაწელილიყო და იმდენად საგრძნობლად, რომ ფართო მაყურებლის სამართლიანი წყრომა არ გამოწვეოდა.

ფილმის ნაკლი ტექნიკურ მხარეშიც არის. კარგია რომ ნაპირზე მოვარჯიშე ახალგაზრდებში სპორტის ოსტატებს ვხედავთ (მ. ნინოშვილი, ნ. სალაძე). მათი მონაწილეობა ფილმს აუცილებელ სილაღეს მატებს. მით უფრო საჭირო იყო არსებითი ხასიათის ზოგიერთ მომენტში მაინც ოსტატი მცურავი დუბლიორის გადაღება.

ცურვის დაბალმა ტექნიკამ, სამწუხაროდ, შეანელა ზემოჭმედების ძალა სწორედ იმ კადრებისა, რომლებიც ჩანაფიქრის მიხედვით განსაკუთრებით შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო (სცენარის ავტორები ა. სალუქვაძე, რ. ჭეიშვილი, ი. ყაჭიშვილის მოთხრობის მიხედვით).

გაჭიანურებული კადრები ცუდ სამსახურს უწევენ მსახიობსაც (მაგალითად, კიბიდან საკმაოდ ხანგრძლივი ჩამოსვლა), მინორული განწყობილების წუთებს ტკეპნიან და ზედმეტად აყოვნებენ.

მსახიობის საყურადღებოდ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ მას, უკანასკნელ პერიოდში ზედმიყოლებით ხანდაზმულთა როლებში ვხედავთ. ვფიქრობთ, რომ ამ ასაკის თუნდაც ბრწყინვალედ განხორციელებული სახეებით შემოფარგვლა არტისტისათვის ნაადრევია. მსახიობის ჭეშმარიტი სიმწიფის ძალთა რეზერვი, სანაქებო შრომისმოყვარეობით გამოვლენილი, ამოურწყავ სიხარულის მომნიჭებელ მხნე, შუბლგახსნილ გმირთა ახალ სახეებს გვპირდება.

ფილმის ავკარგიანობიდან რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ?

ფილმში დასმული პრობლემა ყურადღების ღირსია. „მე თითქოს ჩემი ძარღვები გადავაკვანძე ამ ბიჭის ძარღვებს, რომ მთელი ენერგია გადმეცა მისთვის და ჩემი რწმენა გადასულიყო მის სულში. გამექრო მისი შიში და უძლურება, მიმეცა ძალა და გამეტანებინა იქ, მიწაზე დასამკვიდრებლად... — „აი რა აზრი ამოძრავებს „ზღვის ლომს“.

ახლახან პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდან ცნობილი გახდა, თუ რაოდენ მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკა ნ. ს. ხრუშჩოვმა ადამიანის სულიერი სამყაროსადმი დამამცირებელი უყურადღებობის ტენდენცია ზოგიერთი მხატვრის უსიცოცხლო ტილოებში. ეანგიანი ჯართის ფერებით რომ არის აღბეჭდილი.

ჩვენი აზრით. „ზღვის ბილიკი“ ერთგვარად მაინც ავლინებს ახალი ვითარებით ნაკარნახევ გამახვილებულ ყურადღებას ადამიანის პიროვნებისადმი, რაც უთუოდ ფილმის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ.

მ. გიჟიმყრელი.

* * *

აი ერთ-ერთი კადრი „ზღვის ბილიკიდან“. მოხუცი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე, მარინე — რუსუდან ფარემუზაშვილი.

ინტერსიონალური კომბაინი

ქარხანა „გომსელმაშში“ დაიწყო ნახევრადკიდული სილოსის ამღები კომბაინის „სკბ-2,6“ სერიული წარმოება. იგი მუშაობს როგორც „ბელარუსის“ მარკის ტრაქტორთან, რომელსაც ჰიდროსისტემა აქვს, ისე ტრაქტორ „დტ-54“-თან. მანქანა აღჭურვილია გაცილებით ფართო და დიდი დიამეტრის თვლებით, ვიდრე იგი აქვს ამჟამად არსებულ კომბაინს „სკ-2,6“, რაც ზრდის მის გამავლობას, ახალი მანქანის შექმნისას ქარხნის კონსტრუქტორთა კოლექტივმა გაითვალისწინა მექანიზატორთა შენიშვნები და საჭირელი დოლის ბრუნვის სიჩქარე წუთში 850-დან 1200-მდე გაზარდა. საათში კომბაინი სილოსს 1,9 ჰექტარზე იღებს.

ასტრონომ ნ. ა. კოზირევის ახალი აღმოჩენა

პულკოვო, 19 დეკემბერი. (საკბდ. სა). მთავარი ასტრონომიული ობსერვატორიის სამეცნიერო - საბჭოს ღია სხდომაზე მოხსენება — მოქმედი ვულკანების რაიონში სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები, რომლებმაც შუქი მოჰფინეს ვენერას ვულკანურ მოქმედებას, გააკეთა ცნობილმა პულკოველმა ასტრონომმა ნ. ა. კოზირევმა. თავისი მოხსენება მეცნიერმა დასასაბუთა სპექტრების ფოტოგრაფებითა და გაზომვათა შედეგებით.

ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭომ აღნიშნა, რომ კვლევა ორიგინალურია და დიდი მნიშვნელობა აქვს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ა. კოზირევმა თქვა:

— მიმდინარე წელს პულკოვოს ობსერვატორიამ კამჩატკის ვულკანურ სადგურთან ერთად მოაწყო მეცნიერული ექსპედიცია კამჩატკის კლიუჩევსკის ჯგუფის მოქმედ ვულკანების რაიონში. ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი ვულკანის კვამლისა და ალის მთანთქმის სპექტრთა ფოტოსურათები. მათ გამოავლინეს, რომ სპექტრის ხილულ ნაწილში არის შთანთქმის ორი ზოლი. ჯერ კიდევ 1953 წელს, როცა ყირიმის ობსერვატორიის მოედანზე ვმუშაობდი, შევეძელი აღმოგეჩინა ასეთივე ზოლები ვენერას სპექტრში. მაგრამ ამ ზოლების ბუნება დღემდე სრულიად გაუგებარი იყო.

ასეთი ზოლების არსებობა ვულკანური კვამლის სპექტრებში საფუძველს იძლევა მივიჩნიოთ, რომ ვენერაზე ძლიერ განვითარებული ვულკანების მოქმედება.

საინტერესოა, რომ ეს ზოლები, როგორც ჩემმა კვლევამ ცხადყო, ამსოლუტურად არ ახასიათებს მარსის ატმოსფეროს. ამრიგად, გვაქვს საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ამ პლანეტაზე თუ კი არსებობს ვულკანური მოქმედება, იგი მნიშვნელოვნად უფრო სუსტია, ვიდრე ვენერასა და დედამიწაზე.

ახლა პულკოვოს ობსერვატორიის სპექტრულ ლაბორატორიაში ვსწავლობთ იმ ქანების ნიმუშებს, რომლებიც ამოაფრქვიეს კამჩატკის ვულკანებმა.

კამჩატკის ტოლბაჩიკის ვულკანის ალის სპექტრებისა და მთვარეზე იმ ამოხეთქილი გაზების სპექტრების შედარების შედეგად, რომლებიც შევამჩნიე 1958 წელსა და 1961 წელს, გამოვიტანე ის დასკვნა, რომ მთვარის ქერქი თავისი ქიმიური შემადგენლობით განსხვავდება დედამიწის ქერქისგან. მთვარის გარეშრეები გაცილებით მდიდარია რთული ნახშირწყალბადიანი შენაერთებით, ვიდრე დედამიწის შრეები.

ვ. კორჩნოი — სსრ კავშირის ჩემპიონი

ერევანი. 19 დეკემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). მე აქ არ ვილაპარაკებ იმაზე თუ რაოდენ უსაზღვრო იყო საიუბილეო საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელი ტურისადმი ინტერესი არა მარტო ჭადრაკის გულშემატკივრებისათვის, არამედ თვით გროსმასტერებისა და ოსტატებისათვის გავიმეორებ მხოლოდ საერთაშორისო ოსტატის ვ. მიკენასის სიტყვებს, რომელიც მან საუბარში განაცხადა:

— ბევრ ჩემპიონატში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ასეთი მძაფრი ფინიშის მოწმე არ ვყოფილვარ.

და მართლაც ზოგიერთისათვის ყველაფერი ბეწვზე ეკიდა, ხომ შესაძლებელი იყო ისიც, რომ რამდენიმე მოჭადრაკეს თანაბარი ქულები მოეგროვებინა და მაშინ უპირველია დამატებითი ტურნირის

მოწმე გავხდებით და მაშინ ვინ იცის... მართალია, ვ. კორჩნოის ჩემპიონის ტიტულის. მოსაპოვებლად მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდებოდა, მაგრამ იგი სრულებითაც არ იბრძოდა ყიმისათვის, განწყობილი იყო აგრესიული თამაშისათვის. მძაფრ ბრძოლაში ლიდერს არც მეტოქე ლ. არონინი ჩამორჩებოდა და საჭადრაკო დაფაზე შეუპოვარი თამაში გაჩაღდა. ერთ დროს ვ. კორჩნოის გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, თუმცა მისი რეალიზაცია ვერ მოახერხა და ბოლოს მუდმივი ქულა ბ. ბოლოს მუდმივი ქულა

დარბაზში გაისმა ერთსულოვანი ტაში, ვ. კორჩნოის, რომელმაც 14 ქულა შეაგროვა სსრ კავშირის ჩემპიონობას ულოცავდნენ.

მეორე ადგილის პრეტენდენტები იყვნენ მ. ტალიმანოვი, მ. ტალი და რ. ხოლმოვი. მ. ტალიმანოვმა ა. ნოვოპაშინის წინააღმდეგ ორიგინალურად გაითამაშა პარტია, მოიპოვა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა. მ. ტალისა და ა. სუეტინის პარტიაში ტალისებური ბრძოლის მოწმენი ვიყავით. გართულებები, შეწირვები, რისკი — აი რით ხასიათდებოდა ეს შეხვედრა. პარტია ამ დღეს არ დამთავრებულა. მ. ტალს მოსაგები პოზიცია აქვს. გადაიდო აგრეთვე რ. ხოლმოვისა და ე. მნაცაკანიანის პარტია, სადაც ერევნელ ოსტატს უარეს შემთხვევაში შეუძლია პარტია ყაიმით დამთავროს.

გ. ხოდოსმა მოუგო ვ. სავონს, ბ. სპასკიმ — ა. ვორელოვს. ნ. კროგიუს-ი. კოცი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

20 დეკემბერს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს შედგება ჩემპიონატის საზეიმო დახურვა.

ა. კოტოვი.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

სურათზე: ვ. კორჩნოი.

ფინიში და მისი შედეგები

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ტ. ზატულოვსკაიამ ქალთა საჭადრაკო პირველობის უკანასკნელ ტურში ყაიმით დაამთავრა შეხვედრა კიეველ ოსტატ ე. მალინოვასთან და 13 ქულით სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

რით დამთავრდა მეცხრამეტე ტურის დანარჩენი პარტიები?

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა საერთაშორისო ოსტატმა ა. ჩაიკოვსკაიამ ძლიერად ჩაატარა პარტია ა. მუსლიმოვასთან და სატურნირო ცხრილში 1 ქულა ჩაიწერა. სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. ბორისენკომ მოუგო ლ. ბელავენეცს.

ა. კუშნირსა და ლ. ვოლპერტს, რომლებიც ტ. ზატულოვსკაიას ახვევარი ქულით ჩამორჩებოდნენ მხოლოდ მოგებისათვის უნდა ეზრუნათ, მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ ზ. ნახიმოვსკაიასა და ლ. იაკირთან პარტიებში და ყაიმით დამთავრეს.

ოსტატმა ე. კაკაბაძემ ტ. ფილანოვსკაიასთან და ო. ანდრეევამ ნ. მატვეევასთან პარტიები ყაიმით დაამთავრეს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ამრიგად, მეორე და მესამე ადგილზე 12.5 ქულით არიან ლ. ვოლპერტი და ა. კუშნირი. შესაძლოა მათ შეუერთდეს კ. ზვორიკინი, რომელსაც 11,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მაშინ მეორე, მესამე და მეოთხე ადგილებს გაიყოფს სამი მოჭადრაკე.

ა. ჩაიკოვსკაიამ და ლ. იაკირმა თერთმეტ-თერთმეტი ქულით დაამთავრეს ჩემპიონატი. ვ. ბორისენკოს 10,5 ქულა აქვს, ს. როზენტალს, ე. ბიშარდსა და ზ. ნახიმოვსკაიას — 10 ქულა თითეულს, ე. კაკაბაძეს — 9.5 ქულა.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ა. კოტოვი.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

სურათზე: ვ. კორჩნოი.



რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

20 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის — ადამიანი ერთხელ იბადება, **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა, **გრიბოედოვის სახელობის** — წესგარეშე თამაში, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბრაზილიის საუნჯე (აბონ. № 35, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — ბატის ჭუკი (11 ს.), ჯადოსნური სიტყვა (4 ს.), **ცირკი** — მოდის გემი „ანიუტა“.



20 დეკემბერი

12.00 — მხატვრული ფილმი „ლილი“, 18.00 — ყველაზე პატარებისთვის — „ეროდენას ეკრანი“, 18.20 — მოსწავლეთათვის — ლიტერატურული კონცერტი, 18.40 — კინოჟურნალი, 18.50 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.05 — გადაცემა — „დილის საარი“, 19.30 — გრიბოედოვის სახელობის თეატრის სპექტაკლის „თვითნებური თამაშის“ ტრანსლაცია. ინტრაქტში ახალი ამბები.



21 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური მხედრული და ლაშქრული სიმღერები, 08.30 — მუსიკა სპექტაკლისთვის „დღესასწაული ყინულზე“, 09.10 — ვ. გოკელი. საორკესტრო სიუიტა, 11.15 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, 12.15 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.25 — საბჭოთა რესპუბლიკების მუსიკა, 13.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.15 — მოცარტი. სონატა ფორტეპიანოსათვის დო-მაჟორი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი: „ვოლაპარაკოთ გულახდილად“, 18.10 — გადაცემა ციკლიდან — „სიმღერის ოსტატები“, 18.45 — შ. აზმაიფარაშვილი. სიმფონიური პოემა „ყვარლის მთებს“, 19.30 — „ეკონომიური რადიოკონფერენცია“, 20.15 — თვითმოქმედი კომპოზიტორების სიმღერები, 20.30 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 21.10 — კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით, 22.15 — ქართული საფორტეპიანო პიესები, 23.30 — „საოპერო სცენის ოსტატები“.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

როცა „ზღვის ბილიკს“ ვუყურებთ

ფიქრები, შენიშვნები

ამ დღეებში ერთ საინტერესო ლექსს გავეცანით, რომლის ავტორიც კოსმოსური მედიცინის ექიმი აღმოჩნდა. თუმცა მომავალი კოსმონავტის ყველაზე უფრო რთული გამოცდის ჟამი მაშინ დგება, როცა ადამიანს გარესამყაროსგან იზოლირებულ კამერაში მოთავსებენ. სულის გამყინავი მყუდროების გადატანა ყველაზე საძნელო ყოფილა. საგულისხმოა, რომ ამგვარი გამოცდის უშუალო მოწმე, პროფესიულად მშვიდი ადამიანი სიჩუმის არეში ცხოვრების ხმაურის შემოჭრის გამოსახატავად პოეტურ ფორმას იშველიებს.

ამ საინტერესო ფაქტში ღრმააზროვანი სიმბოლიკაა. საბჭოთა ადამიანისათვის არაფერია დაუძლეველი და ამიტომაც ყოველ შემთხვევაში ზაქარიაძის თვალები ამგვარ კომენტარს არ საჭიროებენ, ისინი საკუთარ უხმო ენაზე გვიყვებიან ზღვის ლომის მწველ ფიქრთა ამბავს.

რაოდენ ელასტიურად გადმოგვცემს მსახიობი ემოციურ განწყობილებათა კონტრასტს. დაღვრემილი კაცი უეცრად ახალგაზრდების თამაშის არეში აღმოჩნდება და ორიოდე უნებლიე მუჭლუგუნისაგან ინთება თვითონაც. არა „ბებრული შეუფაცხყოფით“, არა... სიცოცხლის მჩქეფარების დენით დაიმუხტება. მოხუცი ცდილობს მოთამაშეებს ადგილი დაუთმოს, თან კი ახალგაზრდების მხრების შეხება ესიამოვნება. ამ გრძნობათა ერთობლიობას შესანიშნავად გადმოგცემს მსახიობი.

„საუზმის შემდეგ“

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ქართული თეატრალური კოლექტივი. ამ დღეებში თეატრალურმა კოლექტივმა თბილისის კვების მრეწველობის მუშა-მოსამსახურეებისათვის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობ